დმანისის მუნიციპალიტეტის
მერი

ქ. დმანისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 9

04/01/2019

9-07-4-201901042151

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურებისათვის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54 ემუხლის 1 პუნქტის ე.ვ) ქვეპუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. შეიქმნას დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურებისათვის სამუშაო ჯგუფი შემდეგი ფუნქციებით:

ა) ბადრი სუბარი მერის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე (პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან);

ბ) გუსეინ ისმაილოვი დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში);

დ) პაატა ყულიაშვილი ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი (ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით);

ე) ლევან მანთაშაშვილი სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მ/შ (საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება);

ვ) ქეთევან მარტიაშვილი ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში (მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით,);

ზ) თემურ ტატულაშვილი საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი (პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება);

2 სამუშაო ჯგუფი იკრიბება ყოველკვირეულად, საჭიროებისას - უფრო ხშირად. სამუშაო ჯგუფის მოწვევას ახდენს მერი ან პროცესზე პასუხისმგებელი მერის მოადგილე.

3. სამუშაო ჯგუფის წევრებმა უნდა იმსჯელონ და განსაზღვრონ მუნიციპალიტეტის დასახლებებში საერთო კრებების სხდომებისა და კონსულტაციების ჩატარების,

დასახლებებისათვის საორიენტაციოდ გამოყოფილი თანხების ოდენობების, მათი ეფექტურად გამოყენების გზებისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, მოახდინონ თანდართული სახელმძღვანელოს (თან ერთის 25 გვ.) გაცნობა მერის წარმომადგენლებისათვის, საკრებულოს წევრებისა და საზოგადოებისათვის.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოს დმანისის მაგისტრატ სასამართლოში (ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქუჩა №42)

გიორგი ტატუაშვილი

მუნიციპალიტეტის მერი